Nexia TA

Member of Nexia International

სს "საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა"

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია	11
2.	მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
3.	ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	16
4.	მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	17
5.	ფული და ფულის ეკვივალენტები	18
6.	ძირითადი საშუალებები	18
7.	არამატერიალური აქტივები	19
8.	გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	19
9.	მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	20
10.	გადასახდელი ვალდებულებები	20
11.	აკვიზიციის გადავადებული ხარჯი	20
12.	ვალდებულებები სადაზღვევო საქმიანობიდან	20
13.	წინასწარ გადახდები	21
14.	გადაზღვევის აქტივები	21
15.	კაპიტალი	21
16.	მოზიდული პრემია	21
17.	საპროცენტო შემოსავალი	22
18.	რეგრესით მიღებული შემოსავალი	22
19.	ცვლილება სადაზღვევო საქმიანობიდან ვალდებულებებში	22
20.	საკომისიო ხარჯები	22
21.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
22.	ცვლილება ზარალების რეზერვში	23
23.	სხვა შემოსავალი	23
24.	სხვა ხარჯები	24
25.	გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე	24
26.	სადაზღვევო რისკი	24
27.	უცხოური სავალუტო რისკი	25
28.	ლიკვიდურობის რისკი	26
29.	საბაზრო რისკი	26
30.	საკრედიტო რისკი	26
31.	კაპიტალის რისკის მართვა	26
32.	დაკავშირებული მხარეები	27
33.	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარას" (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 თებერვალს:

გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვენით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას, არც ჩვენ მოგვიხდენია ასეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება. თუმცა არც ხელმძღვანელობას და არც აუდიტორს შეუძლია იმის გარანტირება, რომ კომპანიას ექნება უნარი იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ

ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.
ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.
ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკვრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თიეი“
2019 წლის 28 თებერვალი

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა მოცემულია ათას ლარებში)

	გ/შ	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	17	33
არამატერიალური აქტივები	7	47	58
სულ გრძელვადიანი აქტივები		**64**	**91**
მოკლევადიანი აქტივები			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4	4,648	2,775
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	270	127
მისაღები მოთხოვნები		7	5
ავანსები	13	35	42
გადაზღვევის აქტივები	14	-	8
მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	9	319	13
გადავადებული აკვიზიციის ხარჯი	11	12	31
საგადასახადო აქტივები		2	4
სულ მოკლევადიანი აქტივები		**5,293**	**3,005**
სულ აქტივები		**5,357**	**3,096**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	12	405	191
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (აქტივი)	8	139	(91)
გადასახდელი ვალდებულებები	10	166	244
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**710**	**344**
სულ ვალდებულებები		**710**	**344**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,350	3,656
დამატებითი შენატანი	15	6	
გაუნაწილებელი მოგება(დაუფარავი ზარალი)		291	(904)
სულ კაპიტალი		**4,647**	**2,752**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,357**	**3,096**

მენეჯმენტი:

გენერალური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

11 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „საერთაშორისო კომპანია კამარა“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა მოცემულია ათას ლარებში)

	გ/შ	2018	2017
მოზიდული პრემია		2,885	531
გადამზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში		(8)	(11)
წმინდა მოზიდული პრემია	**16**	**2,877**	**520**
საპროცენტო შემოსავალი	17	96	108
რეგრესით მიღებული შემოსავალი	18	194	50
სხვა შემოსავალი	23	9	15
სულ შემოსავალი		**3,176**	**693**
წმინდა ცვლილებები სადაზღვევო ვალდებულებებში	19	(25)	(31)
ცვლილება ზარალების რეზერვში	22	(342)	(53)
მოგება/ზარალი სადაზღვევო საქმიანობიდან		**(367)**	**(84)**
საკომისიო ხარჯები	20	(430)	(125)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(732)	(613)
სხვა ხარჯები	24	(374)	(54)
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე	25	152	(52)
მოგება დაბეგვრამდე		**1,425**	**(235)**
მოგების გადასახადი		(230)	27
მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი)		**1,195**	**(208)**

მენეჯმენტი:

გენერალური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

11 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა მოცემულია ათას ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	**3,500**	**109**	**(696)**	**2,913**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	150	-	-	150
წილის გატანა	-	(103)	-	(103)
მიმდინარე წლის ზარალი	-	-	(208)	(208)
31 დეკემბერი 2017	**3,650**	**6**	**(904)**	**2,752**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	700	-	-	700
წილის გატანა	-	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება	-	-	1,195	1,195
31 დეკემბერი 2018	**4,350**	**6**	**291**	**4,647**

მენეჯმენტი:

გენერალური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

11 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა მოცემულია ათას ლარებში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
შემოდინება სადაზღვევო პრემიიდან	2,480	600
შემოდინება რეგრესიდან	170	42
შემოდინება სხვა საოპერაციო შემოსავლებიდან	(80)	35
გადინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით	(282)	(72)
გადინება აგენტის საკომისიოს მიხედვით	(318)	(96)
გადინება ხელფასები და სხვა განაცემების მიხედვით	(383)	(302)
გადინება გადასახადების მიხედვით	(189)	(119)
გადინება სხვა საოპერაციო ხარჯების მიხედვით	(307)	(254)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,091**	**(166)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოდინება დეპოზიტებიდან დარიცხული პროცენტის მიხედვით	98	106
გადინება ძირითადი საშუალებების შესაძენად	-	(5)
გადინება არამატერიალური აქტივების შესაძენად	-	(22)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	**98**	**79**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	49	-
სესხების დაფარვა	(51)	
შემოდინება საკუთარი წილის რეალიზაციით	700	134
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	**698**	**134**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	129	(49)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	1,887	(2)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,902	2,904
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**4,918**	**2,902**

მენეჯმენტი:

გენერალური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

თებერვალი 28, 2019
თბილისი, საქართველო

11 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ დაარსდა და დარეგისტრირდა 2013 წლის 13 მაისს. კომპანია ეწევა სადაზღვევო საქმიანობას.

საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა არის სააქციო საზოგაოდება, 2015 წლის 7 დეკემბრამდე ის იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაოდება. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ანა კალანდაძის 4, თბილისი, საქართველო.

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული იყო 3,650,000 აქცია; 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 700,000 აქცია იქნა დამატებული.
კომპანიის მესაკუთრეები არიან: ჩეთინ აიდინი (პირადი ნომერი 20692382642)-61%, ჰუსეინ იამანი (პირადი ნომერი 48838112892)- 39%. კომპანიის მესაკუთრეები არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

სადაზღვევო ლიცენზია კომპანიას მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია #NL013, გამოშვებულია სსიპ საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.
კომპანიის მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება თავმჯდომარის, წევრების, საერთო კრებისა და დირექტორებისგან. ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება გენერალური დირექტორის მიერ. 2018 წლის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორი არის ეკა ცენტერაძე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

პერიოდის საშუალო გაცვლითი კურსი

	2018	2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.5345	2.5086
1 ევრო/ლარი	2.9913	2.8322

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში, და დამრგვალებულია ათასებამდე, კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მოხერხებულია ფინანსური ანგარიშგების გამომყენებლებისათვის და ყველაზე კარგად ასახავს კომპანიაში მიმდინარე მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

აკვიზიციის გადავადებული ხარჯი (DAC)

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, გადავადდება, რამდენადაც ხდება ამ კონტრაქტებიდან მისაღები პრემიის გამომუშავება მომავალში. ამ გამომუშავების შესაბამისად ხდება DAC-ის ამორტიზაცია და ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში.
ყოველ საანგარიშგებო თარიღში (ან უფრო ხშირად, თუ ინდიკაცია არსებობს) ხდება გაუფასურების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზარალის აღიარება მოგება-ზარალში. კონტრაქტის გაუქმების შემთხვევაში ხდება შესაბამისი DAC-ის ჩამოწერა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.
გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.
გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.
პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც

პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	*სასარგებლო მომსახ. ვადა*
ოფისის ინვენტარი	5 წელი
მანქანები	5 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.
ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.
ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება საწყის ღირებულებას დამატებული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შეძენასთან, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც თავიდანვე სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ტრანზაქციის ხარჯები (რაც აღირიცხება მოგებასა და ზარალში).
შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.
ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.
ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.
ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.
წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.
დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნები შედგება: სადაზღვევო პრემიის მოთხოვნისგან, რაც წარმოადგენს გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამს; რეგრესის მოთხოვნა - მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

გადაზღვევის აქტივები

გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ფულს სალაროში, საბანკო ნაშთებს (მოთხოვნამდე და ვადიან ანაბრებს) და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული

რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე, ჯაჭვური მეთოდით, აქტუარული დათვლების საფუძველზე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები პირდაპირ დაკავშირებულია ახალ აქციებთან, გარდა ბიზნეს კომუნიკაციისა, რომელიც წარმოადგენს სააქციო კაპიტალის გამონაკლისს. ნებისმიერი ნამეტი ღირებულება თითოეული გამოშვებული აქციიდან აისახება დამატებითი ღირებულების კაპიტალში.

3. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიას წინასწარ არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული. მოცემულმა სტანდარტებმა/შესწორებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე. თუმცა, დეტალური მიმოხილვის გარეშე შეუძლებელია აღნიშნულის გონივრული შეფასება.

- 2016 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 4-ის შესწორებები, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ის და ახალი სადაზღვევო კონტრაქტების სტანდარტის ფასს 17-ის ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღებით. ფასს 9 არეგულირებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუმცა, მზღვეველისთვის, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, ფასს 9 ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს (განთავისუფლებას), რომელიც მზღვეველს ფასს 9-ის ნაცვლად ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ – გამოყენების უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვრამდე. მზღვეველს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლია ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენება, თუ:
  ა) მას წინათ ფასს 9-ის არანაირი ვერსია არ გამოუყენებია, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას, რომლებიც საწარმოს, საკუთარი

შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და ბ) მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს, ან მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის. გადაფარვის მიდგომა საწარმოს უფლებას აძლევს მოახდინოს მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის ისეთი თანხის რეკლასიფიკაცია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ისეთივე სიდიდის იყოს, რაც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-ს გამოიყენებდა. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დროებით გათავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია დაიწყოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება როდესაც დაიწყებს ფასს 9-ის პირველად გამოყენებას. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ შეაფასა არსებული ცვლილებები და მივიდა დასკვანმდე რომ მისი აქტივობები უპირატესად დაკავშირებულია დაზღვევასთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც. 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის საქმიანობაში, რომლებიც მოითხოვს ხელახალ გადახედვას. კომპანია გეგმავს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით გათავისფულების მიდგომის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, კომპანია აგრძელებს ბასს 39-ის გამოყენებას მისი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდში.

- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებების (გამოცემულია 2017 წლის მაისში) სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
საბანკო დეპოზიტები დოლარში	4,435	2,558
საბანკო დეპოზიტები ლარში	213	217
სულ	**4,648**	**2,775**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია მოკლევადიანი

დეპოზიტების სახით და ერიცხება წლიური 1,5%-დან 10%-მდე 2018 წელს.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ფული ბანკში დოლარში	209	110
ფული ბანკში ლარში	61	16
ნადი ფული სალაროში	-	1
სულ	**270**	**127**

ISSSG-ის მოთხოვნების შესაბამისად სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებების რეზერვაციის 10% უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულადი ნაკადებით და მათი ექვივალენტებით, რაც განსაზღვრულია საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ოფისის ინვენტარი	მანქანები	სულ
ნარჩენი ღირებულება			
დეკემბერი 31, 2016	**51**	**19**	**70**
შემოსვლა	6	-	6
დეკემბერი 31, 2017	**57**	**19**	**76**
შემოსვლა	0	-	0
ჩამოწერა	(7)	-	(7)
დეკემბერი 31, 2018	**50**	**19**	**69**
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
დეკემბერი 31, 2016	**(17)**	**(11)**	**(28)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(11)	(4)	(15)
დაგროვილი ცვეთა დეკემბერი 31, 2017	**(28)**	**(15)**	**(43)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(5)	(4)	(9)
დაგროვილი ცვეთა დეკემბერი 31, 2018	**(33)**	**(19)**	**(52)**
	-	-	-
წმინდა ღირებულება	-	-	-
დეკემბერი 31, 2017	**29**	**4**	**33**
დეკემბერი 31, 2018	**17**	**0**	**17**

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	კომპიუტერული პროგრამები
დეკემბერი 31, 2016	**73**
შესყიდვები	2
დეკემბერი 31, 2017	**75**
შესყიდვები	-
დეკემბერი 31, 2018	**75**
დაგროვილი ამორტიზაცია	
დეკემბერი 31, 2016	**(6)**
ამორტიზაციის ხარჯი	(11)
დაგროვილი ამორტიზაცია დეკემბერი 31, 2017	**(17)**
ამორტიზაციის ხარჯი	(11)
დაგროვილი ამორტიზაცია დეკემბერი 31, 2018	**(28)**
წმინდა ღირებულება	
დეკემბერი 31, 2017	**58**
დეკემბერი 31, 2018	**47**

8. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). სადაზღვევო კომპანიებისთვის კანონი ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან. შედეგად, ამ თარიღიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება იქნება გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არ იარსებებს დროებითი სხვაობები. გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოწვეულია საგადასახადო ზარალებისგან, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მომდევნო პერიოდში. კომპანის აქვს დამტკიცრბული ბიუჯეტი დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომლის მიხედვითაც კომპანია დააგენერირებს იმდენ მოგებას რომ შეძლებს ამ აქტივის გახარჯვას.

	2018	2017
მოგების გადასახადის ანარიცხი	-	27
მოგების გადასახადის ანარიცხი	(230)	-
	(230)	**27**

	2018	2018
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	1,425	(235)
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	214	(35)
დროებითი სხვაობების ეფექტი	16	8
მოგების გადასახადის ხარჯი	**230**	**(27)**

9. მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მისაღები სადაზღვევო პრემიები დოლარში	179	9
მისაღები სადაზღვევო პრემიები ლარში	142	4
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	-	1
გაუფასურების რეზერვი	(2)	(1)
სულ	**319**	**13**

10.გადასახდელი ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მისაღები პრინციპალები - დეპონირება	113	216
კრედიტორული დავალიანება ლარში	37	8
გადასახდელი საკომისიო	16	20
სულ	**166**	**244**

11. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი

აკვიზიციის გადავადებული ხარჯი:

დეკემბერი 31, 2017	**31**
გადავადებული ხარჯები	411
ამორტიზაცია	(430)
დეკემბერი 31, 2018	**12**

12. ვალდებულებები სადაზღვევო საქმიანობიდან

ვალდებულებები სადაზღვევო საქმიანობიდან 2018 და 2017 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	349	159
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი	56	32
სულ	**405**	**191**

13.წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	35	31
იჯარის ავანსი	-	11
სულ	**35**	**42**

14. გადაზღვევის აქტივები

გადაზღვევის აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
გადაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	-	8
სულ	**-**	**8**

15. კაპიტალი

კაპიტალის მინიმალურ ოდენობას ადგენს სარეგულაციო კანონმდებლობა.
სააქციო კაპიტალი შედგება 4,350,000 ჩვეულებრივი აქციისგან. 1 აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი. აქციონერები წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციაში. კომპანიაას აქვს დამატებითი შენატანი კაპიტალში 6,438 ლარის ოდენობით.

16. მოზიდული პრემია

მოზიდული პრემია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018	2017
სავალდებულო დაზღვევის ცენტრი	1,733	-
ავტომობილის დაზღვევა	842	70
გარანტიის დაზღვევა	276	397
ვალდებულების დაზღვევა	29	27
სამოგზაურო დაზღვევა	3	34
ქონების დაზღვევა	2	1
სხვა	-	2
სულ	2,885	531
გადაზღვევის ხარჯები	(8)	(11)
ნეტო პრემია	**2,877**	**520**

17.საპროცენტო შემოსავალი

დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი გრძელვადიანი დეპოზიტებიდან	85	96
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი დეპოზიტებიდან	11	7
სხვა საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	-	5
სულ	**96**	**108**

18. რეგრესით მიღებული შემოსავალი

	2018	2017
რეგრესი (გარანტია)	194	49
რეგრესი (სხვა)	-	1
სულ	**194**	**50**

19.ცვლილება სადაზღვევო საქმიანობიდან ვალდებულებებში

	2018	2017
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი	(25)	(31)
სულ	**(25)**	**(31)**

20. საკომისიო ხარჯები

კომპანიის საკომისიო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ავტომობილის დაზღვევის საკომისიო	351	4
ფინანსური რისკის დაზღვევის საკომისიო	76	102
სამოგზაურო დაზღვევის საკომისიო	1	17
სხვა	2	2
სულ	**430**	**125**

21.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ხელფასები	494	376
იჯარა	85	85
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	49	36
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	26	28
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯებიib	16	20
საბანკო ხარჯი	6	3
საავტომობილო მომსახურების ხარჯი	3	3
რეკლამის ხარჯი	2	20
ჯარიმები	2	4
კომპიუტერების ხარჯი	2	2
დაცვის ხარჯი	2	2
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	3
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	45	31
სულ	**732**	**613**

22.ცვლილება ზარალების რეზერვში

	2018	2017
ვალდებულების დაზღვესვის (გარანტიები)	217	37
ავტომობილის კორპუსის დაზღვევის	98	10
მოტოციკლეტის დაზღვევის	27	2
მგზავრისა და მძღოლის დაზღვევის	-	2
სამოგზაურო დაზღვევის	-	2
სულ	**342**	**53**

23. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავალი ჯარიმებიდან	9	1
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	9
სხვა შემოსავალი ვალდებულების აღსრულების დაზღვევიდან (გარანტიებიდან)	-	5
სულ	**9**	**15**

24. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საწევროს ხარჯი	303	20
საზედამხედველო საფასური	29	-
აკვიზიციის ხარჯები	19	-
ონლაინ რეგისტრაციის საკომისიო ხარჯი	12	20
სასამართლო და სხვა ხარჯები	9	11
გაუფასურების ხარჯი	2	1
შეფასების საკომისიო ხარჯი	-	2
სულ	**374**	**54**

25. გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე

	2018	2017
ფული ბანკში	129	(49)
დებიტორული დავალიანება	34	(1)
კრედიტორული დავალიანება	(11)	(2)
სულ	**152**	**(52)**

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სადაზღვეო საქმიანობასთან. სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკის მენეჯმენტი. რისკი მემკვიდრეობითია, მაგრამ შესაძლებელია მისი კონტროლი იდენტიფიცირებით, გაზომვებით და ყოველდღიური მონიტორინგით. კომპანიაში თითოეულ ინდივიდს შეუძლია გამოთვალოს რისკი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში. მთავარი რისკი, რაც კომპანიის ოპერაციებთან არის დაკავშირებული ეხება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზრის ცვლილებებს საპროცენტო განაკვეთთან, ვალუტის კურსთან და კაპიტალის ფასებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მოკლე მიმოხილვა.

26. სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ზარალის ოდენობის და დადგომის დროის გაურკვევლობას. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა შეფასებულ ოდენობას. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე და მასშტაბი.
კომპანია იყენებს დანაკარგების კოეფიციენტებს, რათა შეაფასოს დაზღვევის რისკი. დანაკარგების კოეფიციენტი გაიანგარიშება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავლებზე. კომპანიის დანაკარგების კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დანაკარგების კოეფიციენტი	13%	16%

27. უცხოური სავალუტო რისკი

უცხოური სავალუტო კურსის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფულადი ნაკადები გაუფასურდება უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე. კომპანიის ზემოქმედება რისკზე დამოკიდებულია მის საოპერაციო და ფინანსურ ფულად ნაკადებზე. კომპანიის ძირითადი ტრანზაქციები ხორციელდება ლარში. ვალუტაზე ზემოქმედება ხდება კომპანიის ბანკში განთავსებული ფულით, რომელიც დოლარშია, ასევე დოლარში არსებული სესხებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევენ სავალუტო რისკს. თანხები კონვერტირებულია ლარში წლის ბოლოს არსებული კურსით:

2018	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	213	4,435	**4,648**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	61	209	**270**
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	142	179	**321**
დებიტორული დავალიანება	1	6	**7**
სულ ფინანსური აქტივები	**417**	**4,829**	**5,246**
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	405	-	**405**
კრედიტორული დავალიანება	(166)	-	**(166)**
სულ ფინანსული ვალდებულებები	**239**	**-**	**239**
ღია საბალანსო პოზიცია	**178**	**4,829**	**5,007**

ქვემოთ მოცემული ცხრილი განიხილავს კომპანიის მგრძნობელობას ლარის დოლარის 15% და ევროს 20% ზრდასა და კლებასთან მიმართებაში.15% და 20% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას მოსალოდნელ კურსთა ცვლილებებთან დაკავშირებით. ანალიზი მოიცავს მხოლოდ ნარჩენ უცხოურ ღირებულებაში არსებულ თანხებს და აკორექტირებს მათ 15-20%იანი ცვლილებების შესაბამისად.

დადებითი რიცხვი გვიჩვენებს ლარის ანგარიშის ზრდას, როცა ლარი მყარდება ნახსენებ ვალუტასთან მიმართებაში.

	აშშ დოლარის გავლენა 2018	
	15%-იანი ზრდა	15%-იანი შემცირება
მოგება/ზარალი	724	(724)

28. ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. საანგარიშგებო თარიღში ყველა ფინანსური ვალდებულება იყო მიმდინარე.
ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

29.საბაზრო რისკი

რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში ეს რისკი კომპანიისთვის არ იყო არსებითი.
ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

30.საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის კონტროლს კომპანია ახერხებს მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებით.
მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც გამომჟღავნდა შეჯამებულია მოცემულ ცხრილში:

	არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	სულ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,648	-	4,648
მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	319	2	321
მისაღები მოთხოვნები	7	-	7
სულ	**4,974**	**2**	**4,976**

31.კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება სააქციო კაპიტალის, დაგროვილი გაუფასურების ზარალისა და ვალებისაგან.
მენეჯმენტი აფასებს კომპანიის მოთხოვნებს კაპიტალში, იმისათვის რომ შეინარჩუნოს ეფექტური ზოგადი ფინანსური სტრუქტურა მაშინ, როდესაც თავს არიდებს სესხის საშუალებების მაღალ წილს. ამგვარი შეფასება საშუალებას გვაძლევს ყურადღება მივაქციოთ სუბორდინაციის დონეს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალზე და შევასწოროთ გადახდილი დივიდენდების, კაპიტალის უკუგების, გამოცემული ახალი აქციების რაოდენობები.

კომპანიის ოპერაციები უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებთან, იმ კანონმდებლოის გათვალისწინებით, რომელშიც მოქმედებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ ახდენს საქმიანობის მონიტორინგს, არამედ აწესებს გარკვეულ პირობებს, მაგალითად, კაპიტალის ადექვატურობა, იმისათვის რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ გადახდისუუნარობა კომპანიისs მენეჯმენტმა მისი სადაზღვევო საქმიანობისათვის უნდა შეინარჩუნოს მინიმუმ მოთხოვნილი კაპიტალის რაოდენობა და საკმარისი ლიკვიდური აქტივები ISSSG-ის ინსტრუქციის შესაბამისად. ISSSG-ის რეგულაცია მოითხოვს, რომ სადაზღვევო კომპანიამ შეინარჩუნოს ლიკვიდური აქტივები მინიმუმ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის 75%-ის ოდენობით, წმინდა ღირებულება მთლიანი სადაზღვევო მოთხოვნებისა და 100% მისი დანაკარგების რეზერვისა. ლიკვიდურ აქტივებს განეკუთვნება: ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება და სხვა ფინანსური აქტივები, როგორც განმარტებულია ISSSG-ის მიერ. ამგვარი ლიკვიდური აქტივების მინიმალურ მოცულობას ეწოდება „საწესდებო რეზერვი“
კომპანია სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

32. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მეწილეები, ძირითადი მენეჯმენტი და სხვა კომპანიები, რომლებსაც კომპანიის მეწილეები ფლობენ. გაყიდვები და შესყიდვები დაკავშირებულ მხარესთან ხორციელდება შესაბამისად, თუმცა 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა მსგავსი ტრანზაქციები. კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანებები. ეს შეფასება ტარდება ყოველწლიურად და ამოწმებს დაკავშირებული მხარის ფინანსურ პოზიციონირებას და ბაზარს, სადაც ეს მხარე ოპერირებს.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება

	2018	2017
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	107	75

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარის კრედიტორული დავალიანების ბალანსი წარმოადგენს 0 ლარს.

33. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.